

დამტკიცებულია:

სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“-ს

დირექტორის 2018 წლის 11 ივლისის #\_\_\_\_\_ ბრძანებით

---

კარლო კერვალიშვილი

სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ინფორმაციის ტექნოლოგია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. რუსთავი, შარტავას ქ.N4

პროგრამის ხელმძღვანელი: დავით მარანელი

რუსთავი  
2018 წ.

1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა : ინფორმაციის ტექნოლოგია /Information Technology
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: 06112-3
3. პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მესამე
4. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში; Third level of professional qualification in Information Technology Support; განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორში აღნიშნული კვალიფიკაცია შეესაბამება ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, მონაცემთა ბაზების, ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება კოდი 0612
5. დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება
6. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის კონკურენტუნარიან კადრის აღზრდა; პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტიკისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს და ცოდნას სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების შესახებ, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.
7. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:
  - ინფორმაციის ტექნოლოგიის , კერძოდ, ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო საკუთრებაში მყოფ კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად.
  - ეკონომიკური სახეების ეროვნულ კლასიფიკატორებთან შესაბამისად კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს: სექცია J – ინფორმაცია და კომუნიკაცია - 62.09.0 საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები
- სექცია S \_ სხვა სახის მომსახურება:
  - 95.11 კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების რემონტი;
  - 95.11.0 კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების რემონტი
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO): 3512 Information and Communications Technology User Support Technicians კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ან/და კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის პროფესიულ პროგრამაზე.
8. სტრუქტურა და მოდულები :

- ინფორმაციის ტექნოლოგიის (ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა) მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 60 კრედიტი, რომელთაგან 16 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 31 კრედიტი არის საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები, 13 კრედიტი არის პროფესიული/დარგობრივი მოდულები. სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა 1 წელი.
- მოდულის, „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/5 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით.
- აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება 75 კრედიტი.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს „გაცნობითი პრაქტიკისა“ და „საწარმოო პრაქტიკის“/“პრაქტიკული პროექტის“ სახით. „გაცნობითი პრაქტიკის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა ინფორმაციის ტექნოლოგიის სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ.

ინფორმაციის ტექნოლოგია (Information Technology)				
ზოგადი მოდულები (ჯამურად 16 კრედიტი)				
№	მოდულის დასახელება	მოდულზე წინაპირობა	დაშვების	კრედიტი
1.	0610003 ინფორმაციული წიგნიერება 1	საბაზო განათლება		3
2.	0030104 ინტერპერსონალური კომუნიკაცია	საბაზო განათლება		3
3.	0020103 რაოდენობრივი წიგნიერება	საბაზო განათლება		2
4.	0410003 მეწარმეობა 1	საბაზო განათლება		2
5.	0110004 სამოქალაქო განათლება	საბაზო განათლება		2
6.	0230101 უცხოური ენა	საბაზო განათლება		4
7.		ჯამურად		16
საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები (ჯამურად 31 კრედიტი)				
№	მოდულის დასახელება	მოდულზე წინაპირობა	დაშვების	კრედიტი
1	0611201 კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა			7
2	0611202 კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა			6
3	0611203 კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები			7

4	0611206 კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა		7
5	0611207 მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები		4
		<b>ჯამურად</b>	<b>31</b>
<b>პროფესიული/დარგობრივი მოდულები (ჯამურად 13კრედიტი)</b>			
<b>ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა</b>			
<b>№</b>	<b>მოდულის დასახელება</b>	<b>მოდულზე წინაპირობა</b>	<b>კრედიტი</b>
1.	0611204 გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	საბაზო განათლება	1
2.	0611205 პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	ყველა პროფესიული/დარგობრივი მოდული	6
3.	0611208 დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support		6
	<b>კრედიტების რ-ბა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის</b>	<b>ჯამურად</b>	<b>13</b>
		<b>სულ:</b>	<b>60</b>

**9. მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები :**

**ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:**

1. ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
2. დაამოტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
3. დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
4. დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
5. უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
6. განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
7. გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;

8. გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელის გამართვა;
9. შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
10. მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

#### **10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგია (ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა) შემუშავებულია მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მისაღებად: შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად მოიცავს სავალდებულო ზოგად, საერთო სავალდებულო და სავალდებულო პროფესიულ მოდულებს.

#### **11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:**

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით

#### **პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასება:**

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.
5. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

#### **12. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:**

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსის“ პრეროგატივას, პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო ზოგადი და სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

#### **13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-12 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

#### 14. პარტნიორი ორგანიზაციების სია:

1. შპს "ატომელექტრონიკსი - ს/კ 16298900
2. შპს "საქართველოს კავშირგაბმულობის კორპორაცია - ს/კ. 204876081;
3. შპს „ორიენტლოჯიკი“ -ს/კ 202052054
4. ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო,
5. ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია,

#### დანართები:

- დანართი №1 - სასწავლო გეგმა
- დანართი №2 - აღჭურვილობა
- დანართი №3 - განმახორციელებელი პერსონალი
- დანართი №4 - 0110001, „ქართული ენა A 2“
- დანართი №5 - სასწავლო გეგმა, ქართული ენა;
- დანართი №6 - 0610003, ინფორმაციული წიგნიერება 1;
- დანართი №7 - 0230101, უცხოური ენა ( ინგლისური ენა );
- დანართი №8 - 0410003, მეწარმეობა 1;
- დანართი N9 - 0020103, რაოდენობრივი წიგნიერება;
- დანართი №10 - 0030104, ინტერპერსონალური კომუნიკაცია;
- დანართი №11 - 0110004, სამოქალაქო განათლება;
- დანართი №12 – 0611201 კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა
- დანართი №13 – 0611202 კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა
- დანართი №14 – 0611203 კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები
- დანართი №15 - 0611206 კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა
- დანართი №16 – 0611207 მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები
- დანართი №17 - 0611204 გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდაჭერი
- დანართი №18 - 0611205 პრაქტიკული პროექტი ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
- დანართი №19 - 0611208 დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support